



ქართული უნივერსიტეტის IX პირად-გუნდური ოლიმპიადა  
წმიდა ანდრია პირველწოდებულის თასის მოსაპოვებლად

ისტორია - XI კლასი

მონაწილის გვარი, სახელი, ტელეფონი \_\_\_\_\_

სკოლა, კლასი \_\_\_\_\_

თანაგუნდელის გვარი, სახელი \_\_\_\_\_

მასწავლებლის გვარი, სახელი \_\_\_\_\_

I დავალება - ოთხი შესაძლო ვარიანტიდან აირჩიეთ ერთი სწორი პასუხი

*ინსტრუქცია*

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. უნდა შემოხაზოთ სწორი პასუხი. თითოეული კითხვა ერთი (1) ქულით ფასდება.

(1) 1. რომელ საუკუნეებში მიმდინარეობდა „ხალხთა დიდი გადასახლება“?

ა. II-V სს.

ბ. III-VI სს.

გ. IV-VII სს.

დ. V-VIII სს.

(1) 2. რომელ წელს მოხდა კათოლიკობისა და მართლმადიდებლობის გაყოფა?

ა. 1052 წელს

ბ. 1054 წელს

გ. 1056 წელს

დ. 1058 წელს

(1) 3. სტრაბონის ცნობის მიხედვით, ვინ შედიოდა ქართლის სამეფოს მოსახლეობის მეორე გვარში?

ა. სეფეწულები

ბ. ქურუმები

გ. მხედრები

დ. მოსამართლეები

(1) 4. ვის უწოდებდნენ „ღვთის რისხვას“?

ა. ალექსანდრე მაკედონელს

ბ. ფრიდრიხ ბარბაროსას

გ. ატილას

დ. იულიუს კეისარს

(1) 5. ვინ იყო დენი დიდრო?

ა. იტალიელი მუსიკოსი

ბ. ბელგიელი მწერალი

გ. ფრანგი განმანათლებელი

დ. ნიდერლანდელი ჰუმანისტი

(1) 6. გადმოცემის მიხედვით ვის ეკუთვნის შემდეგი სიტყვები: „იქ ბალახი არ იზრდება, სადაც ჩემი ცხენი ფეხს დაადგამსო“?

ა. გენუს პომპეუსს

ბ. ატილას

გ. თემურ ლენგს

დ. მეჰმედ II-ს

(1) 7. რომელ წელს მოხდა პუატიეს ბრძოლა?

ა. 731 წ.

ბ. 732 წ.

გ. 733 წ.

დ. 734 წ.

(1) 8. რომელს წელს დაიდო აუგსბურგის რელიგიური ზავი?

ა. 1555 წელს

ბ. 1556 წელს

გ. 1557 წელს

დ. 1558 წელს

(1) 9. რას უწოდებდნენ აღმოსავლეთის სლავები ნორმანებს?

- ა. ვარიანგებს                      ბ. ვიკინგებს                      გ. ჰუნებს                      დ. სამხრეთის ხალხებს

(1) 10. მეჰმედ II-ს ფათიჰი უწოდეს, რაც ნიშნავს

- ა. სასტიკს                      ბ. გამჭირახს                      გ. ბედნიერს                      დ. დამპყრობელს

(1) 11. რომელ წლებში მიმდინარეობდა V ჯვაროსნული ლაშქრობა?

- ა. 1215-1219 წწ.                      ბ. 1216-1220 წწ.                      გ. 1217-1221 წწ.                      დ. 1218-1222 წწ.

(1) 12. ვინ იყო რომის პაპ ჰონორიუს III-ის თანამედროვე საქართველოს მეფე?

- ა. დავით IV                      ბ. რუსუდანი                      გ. გიორგი V                      დ. ბაგრატ V

(1) 13. ვინ იყო რომის პაპ იოანე XXII-ის თანამედროვე საქართველოს მეფე?

- ა. დავით IV                      ბ. რუსუდანი                      გ. გიორგი V                      დ. ბაგრატ V

(1) 14. რომელ წელს აღმოაჩინეს ჰოლანდიელმა მეზღვაურებმა ავსტრალია?

- ა. 1605 წ.                      ბ. 1606 წ.                      გ. 1607 წ.                      დ. 1608 წ.

## II დავალება - ქრონოლოგიის განსაზღვრა

### ინსტრუქცია

დაალაგეთ ქრონოლოგიური პრინციპით ქვემოთ ჩამოთვლილი პიროვნებები შესაბამისი თანმიმდევრობით (უძველესიდან უახლესისაკენ). პასუხები ჩაწერეთ მოცემულ უჯრებში. იწერება მხოლოდ დასახელებული მეფის/იმპერატორის შესაბამისი ციფრი. II დავალება ოთხი (4) ქულით ფასდება.

(4) 15. დაალაგეთ ქრონოლოგიური პრინციპით უძველესიდან უახლესისაკენ საფრანგეთის მეფეები

1. ჰუგო კაპეტი                      2. ფილიპე II                      3. ლუი IX                      4. ფილიპე IV

--	--	--	--

(4) 16. დაალაგეთ ქრონოლოგიური პრინციპით უძველესიდან უახლესისაკენ ბიზანტიის იმპერატორები

1. ლეონ II                      2. ბასილი II                      3. კონსტანტინე IX                      4. იოანე II კომნენოსი

--	--	--	--

### III დავალება - შესაბამისობის პოვნა

#### ინსტრუქცია

ქვემოთ მოცემულ ცხრილში "X" ნიშანი დასვით სწორი პასუხის ადგილზე. მაგ: თუ თვლით, რომ რუსუდანის მეფობისას მოხდა ერწუხის ბრძოლა, მაშინ "X" ნიშანი დასვით "2"-ის და "ვ"-ს გადაკვეთაზე. დავალება მაქსიმუმ ოთხი (4) ქულით ფასდება.

(4) 17. იპოვეთ შესაბამისობა ისტორიულ პირსა და ქვეყანას შორის

- |               |                      |
|---------------|----------------------|
| 1. დავით IV   | ა) ასპინძის ბრძოლა   |
| 2. რუსუდანი   | ბ) არადეთის ბრძოლა   |
| 3. ლუარსაბ II | გ) ხრესილის ბრძოლა   |
| 4. სოლომონ I  | დ) გარნისის ბრძოლა   |
|               | ე) ტაშისკარის ბრძოლა |
|               | ვ) ერწუხის ბრძოლა    |

	ა	ბ	გ	დ	ე	ვ
1						
2						
3						
4						

### IV. დავალება - შეცდომების აღმოჩენა და გასწორება

#### ინსტრუქცია

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი. იპოვეთ დაშვებული შეცდომები. პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში გადაიტანეთ ნაპოვნი ფაქტობრივი შეცდომა და მისი შესწორებული ვარიანტი. გაითვალისწინეთ, რომ შეფასდება როგორც თქვენ მიერ ნაპოვნი შეცდომა (1 ქულა), ისე მისი შესწორებული ვარიანტი (1 ქულა). ასევე გაითვალისწინეთ, რომ პასუხების ფურცელში მოცემული ცხრილის შესაბამის ადგილას უნდა ჩაიწეროს მხოლოდ ერთი სიტყვა, თარიღი, სახელი და ა. შ. და არავითარ შემთხვევაში, მთელი წინადადება ან თუნდაც რამდენიმე სიტყვა. დავალება მაქსიმუმ თოთხმეტი (14) ქულით ფასდება.

**(14) 18. დემეტრე II თავდადებული**

დავით ნარინის მემკვიდრე დემეტრე II მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში მეფობდა. დასავლეთ საქართველო დამოუკიდებელ სამეფოდ ჩამოყალიბდა. სამცხე კი 1265 წლიდან უშუალოდ სულთანს დაექვემდებარა. მცირეწლოვან დემეტრეს მეურვედ (ათაბაგად) სადუნ მანკაბერდელი დაუნიშნეს. სადუნმა ათაბაგობას მონღოლთა ერთგული სამსახურით მიაღწია.

დემეტრე II იძულებული იყო მონაწილეობა მიეღო მონღოლთა ომებში. 1281 წელს ოსმალეთის სულთნის წინააღმდეგ ლაშქრობაში მონღოლებთან ერთად იბრძოდა მრავალი ათასი ქართველი, რომელთაგან „უმრავლესნი მოისრეს“. დემეტრე II-ს, მისდა უნებურად, საყაენოს შიდა ბრძოლებშიც უხდებოდა მონაწილეობა. ილხანთა ყაენს, არღუნს, პირველი ვეზირი ჩობანი აუჯანყდა. ყაენმა აჯანყებულები დაამარცხა. პირველი ვეზირი და მისი მოკავშირეები კი სიკვდილით დასაჯა. ყაენმა თავისთან დაიბარა დემეტრე II. რჩევისთვის მეფემ სამეფო დარბაზს მიმართა. დარბაზმა მეფეს ურჩია: „წახვიდე სიმაგრეთა მთიულეთისათა, ან აფხაზთასა, ვითარ ქმნა მამამან შენმან... მრავალთა მეფეთა მიურიდნია და დაუცავს თავი თვისი“. დემეტრე II-მ არ მიიღო დარბაზის წინადადება, რადგან ურჩობის შემთხვევაში მონღოლები სამეფოს ააწიოკებდნენ. საილხანოში ჩასული მეფე ბათუ ყაენმა 1290 წელს სიკვდილით დასაჯა. მადლიერმა შთამომავლობამ მას თავდადებული უწოდა. დემეტრე II-ის შემდეგ მისი შვილი დავით VIII გამეფდა.

	არის	უნდა იყოს
1		
2		
3		
4		
5		
6		
7		